მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

დანართები:

დანართი 6. საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი მეთევზეობის დარგში სახელმწიფო მართვის შესახებ შავი ზღვის რეგიონისა და ევროპის ქვეყნებში

Empowering *the* Change

მდგრადი მეთევზეობის განვითარების კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევა

(დანართი 6)

მდგრადი მეთევზეობის განვითარების ეროვნული კონცეფციის შემუშავების მიზნით ჩატარებული კვლევის პროექტის ინიციატორია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. პროექტის მხარდამჭერი და დამფინანსებელია შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (Sida) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ გრანტის ფარგლებში. პროექტი განახორციელა კვლევისა და მენეჯმენტის საკონსულტაციო კომპანია „ეისითიმ" (ACT).
პროექტის მენეჯერი: ნესტან გაფრინდაშვილი
მოწვეული ექსპერტები: ნინო ჩობანიანი, ანა რუხაძე

იანვარი, 2025

შინაარსი

შავი ზღვის ქვეყნები 4

- თურქეთი 4
- ბულგარეთი 5
- რუმინეთი 6
- უკრაინა 8

ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები 9

- საბერძნეთი 9
- იტალია 10
- საფრანგეთი 11
- ესპანეთი 12

ბალტიის ზღვის ქვეყნები 12

- ლიეტუვა 12
- ლატვია 13
- ესტონეთი 14
- პოლონეთი 15

სკანდინავიის ქვეყნები 16

- დანია 16
- ფინეთი 17
- შვედეთი 19
- ნორვეგია 19

დანართი 6. საუკეთესო პრაქტიკის ანალიზი მეთევზეობის დარგში სახელმწიფო მართვის შესახებ შავი ზღვის რეგიონისა და ევროპის ქვეყნებში

შავი ზღვის ქვეყნები

თურქეთი

თურქეთში მეთევზეობისა და აკვაკულტურის დარგში მთავარი სახელმწიფო ორგანო არის **სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის სამინისტრო** (MoFAL)[1]. არსებობს რამდენიმე გენერალური დირექტორატი (DG), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მეთევზეობასა და აკვაკულტურაზე: მეთევზეობისა და აკვაკულტურის გენერალური დირექტორი (DGFA); სურსათისა და კონტროლის გენერალური დირექტორი (DGFC) (აკვაკულტურასთან მიმართებაში აღნიშნული დირექტორატი საქმიანობს თევზის მიკვლევადობის, დაავადებათა კონტროლისა და ბაზრის კვლევების მიმართულებით); სოფლის მეურნეობის კვლევისა და პოლიტიკის დირექტორატი (DGARP) და სოფლის მეურნეობის რეფორმების დირექტორატი (DGAR) (აღნიშნული ორი დირექტორატი პასუხისმგებელია საბაზისო კვლევების, საორგანიზაციო და დამხმარე საქმიანობების განხორციელებაზე). **მეთევზეობისა და აკვაკულტურის გენერალური დირექტორატი (DGFA)** არის საკმაოდ დიდი უწყება და შედგება ხუთი განყოფილებისგან: მეთევზეობისა და კონტროლის დეპარტამენტი, აკვაკულტურის დეპარტამენტი, ადმინისტრაციისა და კოორდინაციის დეპარტამენტი, სტატისტიკისა და საინფორმაციო სისტემების დეპარტამენტი და რესურსების მართვისა და მეთევზეობის სტრუქტურის დეპარტამენტი.

მეთევზეობისა და აკვაკულტურის გენერალური დირექტორატის (DGFA) ძირითად უფლებამოსილებებს შორის არის შემდეგი:

- პოლიტიკის განსაზღვრა მდგრადი საზღვაო და შიდა წყლების მეთევზეობისა და აკვაკულტურისთვის.
- მეთევზეობისა და აკვაკულტურის საქმიანობების ხელშეწყობა.
- თევზჭერის პორტების, მეთევზეობისა და აკვაკულტურის ინფრასტრუქტურული ობიექტების შექმნის, მართვისა და აუდიტის წესებისა და პროცედურების განსაზღვრა.
- თევზჭერისა და აკვაკულტურის ზონების განსაზღვრა და პრევენციული ღონისძიებების გატარება ამ ტერიტორიების დასაცავად.
- თევზჭერისა და აკვაკულტურის რესურსების დაცვა.

აკვაკულტურის დეპარტამენტი, თავის მხრივ, შედგება სამი სამმართველოსგან: საზღვაო აკვაკულტურა, შიდა აკვაკულტურა, აკვაკულტურის ეკონომიკა და მარკეტინგი. ამ დეპარტამენტს დახმარებას უწევს პროექტებისა და სტატისტიკის სამმართველოები MoFAL-ის 81 რეგიონალურ დირექტორატში, ასევე, შესაბამისი განყოფილებები მეთევზეობის კვლევით ინსტიტუტებში (Fisheries Research Institutes). აკვაკულტურის დეპარტამენტის ძირითად მოვალეობებში შედის, მათ შორის, აკვაკულტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და

[1] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). https://www.fao.org/fishery/en/legalframework/tr/en?lang=en

ხელშეწყობა; აკვაკულტურის ადგილების, ტერიტორიებისა და ზონების განსაზღვრა; აკვაკულტურის ტერიტორიების გაქირავების პროცედურების ადმინისტრირება; ლიცენზირების პროცესის ადმინისტრირება და თევზის მეურნეობის ლიცენზიების გაცემა; თევზის მეურნეობების კონტროლი და მონიტორინგი; ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერის უზრუნველყოფა. აღსანიშნავია, რომ MoFAL-ის გარდა, არსებობს რამდენიმე სამინისტრო და უწყება, რომლებიც თავისი უფლებამოსილებების მიხედვით, ჩართულნი არიან გარკვეულწილად აკვაკულტურის ადგილების შერჩევისა და აკვაკულტურის ლიცენზიების გაცემის პროცესში. ასეთ უწყებებს შორის არის გარემოს დაცვისა და ურბანული დაგეგმარების სამინისტრო; სატყეო და წყლის რესურსების სამინისტრო; კულტურისა და ტურიზმის სამინისტრო; ეკონომიკის სამინისტრო; ჯანდაცვის სამინისტრო, რომელიც შეისწავლის აკვაკულტურის გავლენას საზოგადოების ჯანმრთელობაზე და პროდუქტის ჰიგიენის საკითხებს; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტრო; საგარეო ვაჭრობის სამდივნო თევზის ექსპორტირების საკითხებში და გენერალური სამხედრო კაბინეტი (General Commander's Office) შესაბამის ტერიტორიებზე სამხედრო წვრთნების ჩატარების კუთხით.

ბულგარეთი

ბულგარეთში თევზჭერის მართვის ძირითადი პირობები განსაზღვრულია ევროკავშირის მეთევზეობის საერთო პოლიტიკით (CFP)[2]. ბულგარეთში მეთევზეობისა და აკვაკულტურის შესახებ 2006 წელს მიღებული კანონი უზრუნველყოფს სამართლებრივ საფუძველს თევზჭერის რესურსების მართვის, გამოყენებისა და კონსერვაციისთვის და თევზის პროდუქტებისა და წყლის სხვა ორგანიზმების ბაზარზე განთავსებისთვის. ბულგარეთში თევზჭერის ლიცენზიები და ნებართვები გაიცემა თევზის ყველა სახეობისთვის (კამბალას (turbot) გარდა, რომელიც ცალკე ავტორიზაციის სისტემის საგანია).

ბულგარეთის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო (ამჟამად ბულგარეთის **სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო**[3]) არის სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც იყენებს ერთიან სახელმწიფო პოლიტიკას სოფლის მეურნეობის სექტორში, მართავს, კოორდინაციას უწევს და აკონტროლებს სახელმწიფო პოლიტიკას, მათ შორის, მეთევზეობისა და აკვაკულტურის სფეროში. აღნიშნული სამინისტროს ერთ-ერთი უწყება არის **მეთევზეობისა და აკვაკულტურის აღმასრულებელი სააგენტო** (EAFA)[4], რომელიც წარმოადგენს ცენტრალური ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოს როგორც მეთევზეობისა და აკვაკულტურის ეროვნული პოლიტიკის განსახორციელებლად, ასევე მეთევზეობისა და აკვაკულტურის შესახებ კანონის აღსრულებისთვის. EAFA ახორციელებს ევროკავშირის (EU) მეთევზეობის საერთო პოლიტიკის (CFP) ფარგლებში სახელმწიფო ზედამხედველობასა და თევზჭერის საქმიანობის კონტროლს. სააგენტო ფინანსდება ეროვნული ბიუჯეტიდან, სალიცენზიო გადასახადებიდან და თევზსა და წყლის სხვა

[2] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).
https://www.fao.org/fishery/en/facp/BGR

[3] ბულგარეთის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო (Ministry of Agriculture and Food of Bulgaria).
https://www.mzh.government.bg/en/

[4] ბულგარეთის მეთევზეობისა და აკვაკულტურის აღმასრულებელი სააგენტო (Executive Agency for Fisheries and Aquaculture / EAFA).
https://iara.government.bg/wps/portal/iara-web/home

ორგანიზმებზე მიყენებული ზიანის კომპენსაციით მიღებული შემოსავლებიდან. დამატებით, EAFA უფლებამოსილია, მართოს ევროპის მეთევზეობის ფონდიდან (EFF) მიღებული ფინანსები[5]. ქვეყნის მასშტაბით არსებობს EAFA-ს 4 ტერიტორიული ერთეული. გარდა ამისა, არსებობს სამინისტროს სხვა სტრუქტურები, რომლებიც სააგენტოს მხარდამჭერ საქმიანობას ახორციელებენ. ბულგარეთში თევზჭერის მართვის სხვადასხვა სახელისუფლებო ორგანოებს შორის სათანადო თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, 2014 წლის სექტემბერში ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს მეთევზეობისა და აკვაკულტურის აღმასრულებელ სააგენტოს (Executive Agency for Fisheries and Aquaculture), საზღვაო ადმინისტრირების აღმასრულებელ სააგენტოს (Executive Agency Maritime Administration), ბულგარეთის სურსათის უვნებლობის სააგენტოსა (Food Safety Agency) და სასაზღვრო პოლიციას (Border Police) შორის[6].

ბულგარეთში არსებობს თევზის კვლევებითა და შესწავლით დაკავებული არაერთი სამეცნიერო ცენტრი და ინსტიტუტი. ეს კვლევითი ინსტიტუტები მხარს უჭერენ EAFA-ს საქმიანობას ბულგარეთში მეთევზეობის სექტორის ორგანიზებასა და მართვაში. EAFA ასევე თავად უწევს ორგანიზებას და მონაწილეობს საგანმანათლებლო და სასწავლო აქტივობებში. ბულგარეთში ფუნქციონირებს მეთევზეობის მიმართულებით ორი ძირითადი ასოციაცია: ასოციაცია „შავი ზღვის მზის ამოსვლა“ (Black Sea Sunrise) და „თევზის პროდუქტების მწარმოებელთა ასოციაცია“ (BG FISH), რომლებიც წარმოადგენენ თევზის მწარმოებლებს და იცავენ მისი წევრების კომერციულ, სოციალურ და ყველა სხვა პროფესიულ უფლებებს.

რუმინეთი

რუმინეთში მეთევზეობისა და აკვაკულტურის მართვასა და რეგულირებას ზედამხედველობს **სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტრო**[7], რომელიც პასუხისმგებელია მეთევზეობასთან, აკვაკულტურასთან და სოფლის განვითარებასთან დაკავშირებული პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაზე. სამინისტრო ახორციელებს დარგის რეგულირებას ევროკავშირის <u>მეთევზეობის საერთო პოლიტიკის (CFP)</u> შესაბამისად, მართავს ევროპის საზღვაო მეთევზეობის ფონდს (EMFF) და ხელს უწყობს მეთევზეობისა და აკვაკულტურის კვლევასა და განვითარებას[8]. რეგიონული დეპარტამენტები წარმოადგენენ სამინისტროს დეცენტრალიზებულ საჯარო სამსახურებს და ახორციელებენ ქვეყნის პოლიტიკასა და სტრატეგიას შესაბამის რეგიონებში; რაც შეეხება მუნიციპალიტეტებს, მათ

---

[5] წყარო: ბულგარეთის მთავრობის მომსახურებებისა და საინფორმაციო პორტალი.
https://egov.bg/wps/portal/en/egov/institutions/agencies/ag0036/!ut/p/z1/jZFND4IwDIZ_iweO0gKGLN7w-wuNISruYoaBQYKMzCnRX--MJ40KvbV53vZtCxRCoAW7ZpypTBQs1_meuofJmnjWithzYpERev5iaXW2UwcJwu4TGOETCIa9YGDj0AXaRI8_wsNm-j8A_d9-VjdAX8CWft_nQEum0nZWJAJCxhEdV0-nn_q3_cedGuB5oAYWeS6i1ze8InKI9iLjJJaxNC9Sl1OlynPXQAOrqjK5EDyPzaM4GfhNkoqzgvCdhPK02YT3RRJM2zS6Va0Hr7zzOQ!!/

[6] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).
https://www.fao.org/fishery/en/facp/BGR

[7] რუმინეთის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტრო (Ministry of Agriculture and Rural Development of Romania).
https://www.madr.ro/en/

[8] წყარო: რეგიონების ევროპული კომიტეტი (European Committee of the Regions).
https://portal.cor.europa.eu/divisionpowers/Pages/Romania-Fisheries.aspx

შეუძლიათ შეიმუშაონ და განახორციელონ ადგილობრივი სტრატეგიები და პროექტები EMFF-ის ფინანსური სახსრების გამოყენებით.

რუმინეთში მეთევზეობისა და აკვაკულტურის სახელმწიფო მართვაზე პასუხისმგებელია **მეთევზეობისა და აკვაკულტურის ეროვნული სააგენტო** (ANPA)[9], რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სააგენტო ფარავს რუმინეთის მთელ ტერიტორიას ოთხი რეგიონული ფილიალის მეშვეობით: მოლდოვა, მუნტენია, ოლტენია, ტრანსილვანია[10]. სააგენტოს მთავარი ფუნქციაა, რომ აღასრულოს ეროვნული სტრატეგია და კონკრეტული რეგულაციები მეთევზეობის, აკვაკულტურისა და მეთევზეობის ბაზრის ორგანიზების გარშემო. სააგენტოს ასევე ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ განსაზღვროს და განახორციელოს პოლიტიკა თევზის ბუნებრივი ჰაბიტატების ცოცხალი წყლის რესურსების კონსერვაციისა და მართვისთვის, აკვაკულტურისთვის, თევზჭერის პროდუქტების გადამუშავებისა და ბაზრის ორგანიზებისთვის.

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე 2024 წლის ივნისში ძალაში შევიდა რუმინეთის კანონი მეთევზეობისა და ცოცხალი წყლის რესურსების დაცვის შესახებ[11]. კანონი არეგულირებს რეკრეაციულ თევზაობას ბუნებრივ წყლის ჰაბიტატებში, სამეცნიერო მიზნებისთვის თევზაობას, თევზჭერის სექტორის პოლიტიკას, აგრეთვე, თევზჭერის პროდუქტების ბაზრის ორგანიზებას; კანონი ასევე ადგენს სანქციების რეჟიმს დარღვევებისთვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, მეთევზეობის დარგში პოლიტიკას რუმინეთში ახორციელებს მეთევზეობისა და აკვაკულტურის ეროვნული სააგენტო (ANPA). კანონის საფუძველზე რუმინეთში დამატებით იქმნება **მეთევზეობის განვითარების ფონდი (Fisheries Development Fund)**, რომელსაც მართავს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამინისტრო. მეთევზეობის განვითარების ფონდის გამოყენება უნდა განისაზღვროს ყოველწლიურად მეთევზეობასა და აკვაკულტურაზე პასუხისმგებელი ცენტრალური საჯარო უწყების მიერ.

რუმინეთში აქტიურად ფუნქციონირებს მეთევზეობის მიმართულებით სხვადასხვა ასოციაციები თუ კვლევითი და სამეცნიერო ცენტრები, მათ შორის, შემდეგი[12]: „თევზის მწარმოებლების ასოციაცია RomFish“, „დუნაის დელტას კვლევისა და განვითარების ეროვნული ინსტიტუტი“, „საზღვაო კვლევისა და განვითარების ეროვნული ინსტიტუტი“, „თევზის კულტურის კვლევისა და განვითარების სადგური“.

---

[9] რუმინეთის მეთევზეობისა და აკვაკულტურის ეროვნული სააგენტო (National Agency for Fisheries and Aquaculture of Romania / ANPA).
https://www.anpa.ro/

[10] წყარო: საზღვაო ორგანიზაციების ევროპული დირექტორატი (European Directory of Marine Organisations / EDMO).
https://edmo.seadatanet.org/report/3341

[11] წყარო: ნიდერლანდების სოფლის მეურნეობის, მეთევზეობის, სურსათის უვნებლობისა და ბუნების სამინისტრო (Ministerie van Landbouw, Visserij, Voedselzekerheid en Natuur).
https://www.agroberichtenbuitenland.nl/actueel/nieuws/2024/06/06/law-on-fisheries-in-romania-was-published

[12] წყარო: საერთაშორისო ორგანიზაცია „ევროფიში“ (EUROFISH International Organisation).
https://eurofish.dk/member-countries/romania/

უკრაინა

მთავარი უწყება უკრაინაში, რომელიც პასუხისმგებელი არის თევზჭერის მართვასა და რეგულირებაზე, არის **მეთევზეობის სახელმწიფო სააგენტო**[13]. სააგენტოს საქმიანობას აკონტროლებს უკრაინის მინისტრთა კაბინეტი **უკრაინის აგრარული პოლიტიკისა და სურსათის სამინისტროს**[14] მეშვეობით. სამინისტრო ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებას, მათ შორის, მეთევზეობისა და თევზჭერის მრეწველობის სფეროებში, წყლის ბიორესურსების დაცვის, გამოყენებისა და რეპროდუქციის მიმართულებით, ასევე, თევზსაჭერი ფლოტის გემების საზღვაო უსაფრთხოების კუთხით. სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს მეთევზეობის სახელმწიფო სააგენტოსთან და სხვა შესაბამის უწყებებთან მეთევზეობასა და აკვაკულტურასთან დაკავშირებული ეროვნული სტრატეგიების, კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესამუშავებლად.

უკრაინის მეთევზეობის სახელმწიფო სააგენტოს მთავარი ფუნქციებია[15]:

- მეთევზეობისა და აკვაკულტურის სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელება;
- მეთევზობის დარგში კონტროლი (უკანონო (IUU) თევზაობასთან ბრძოლა);
- უკრაინის წყლის ობიექტებში ბიორესურსების სამეცნიერო მონიტორინგის ორგანიზება და შესაბამისი კონსერვაციის ღონისძიებების შემუშავება;
- მეთევზეობისა და აკვაკულტურის დარგობრივ ასოციაციებთან თანამშრომლობით, უკრაინაში მეთევზეობისა და აკვაკულტურის მრეწველობის მდგრადი განვითარებისთვის რჩევების შემუშავება;
- უკრაინის მონაწილეობის ორგანიზება საერთაშორისო აქტივობებში და საერთაშორისო თანამშრომლობა მეთევზეობისა და აკვაკულტურის სფეროში.
- აკვაკულტურის შესახებ მონაცემების შეგროვება.

დარგის ძირითადი ეროვნული კანონმდებლობა მოიცავს შემდეგ რეგულაციებს: უკრაინის კანონი "მეთევზეობის, სამრეწველო თევზაობისა და წყლის ბიორესურსების დაცვის შესახებ" (2011), უკრაინის კანონი "აკვაკულტურის შესახებ" (2013), უკრაინის კანონი "თევზის, წყლის სხვა ცოცხალი რესურსების და მათი საკვები პროდუქტების შესახებ" (2003).

სამეცნიერო და კვლევითი მიმართულებით აღსანიშნავია, რომ უკრაინაში ფუნქციონირებს ისეთი ორგანიზაციები, როგორებიცაა „მეთევზეობის ინსტიტუტი“ (Institute of Fishery), რომელიც მოქმედებს უკრაინის აგრარული მეცნიერების ეროვნულ აკადემიაში; „მეთევზეობისა და ზღვის ეკოლოგიის ინსტიტუტი“ (Institute of Fisheries and Marine Ecology), რომელიც მოქმედებს უკრაინის მეთევზეობის სახელმწიფო სააგენტოსთან; „ოდესის ცენტრი YugNIRO“ (Odessa Center YugNIRO), რომელიც შეიქმნა უკრაინის მეთევზეობის სახელმწიფო კომიტეტის მმართველობით.

---

[13] უკრაინის მეთევზეობის სახელმწიფო სააგენტო (State Agency of Fisheries of Ukraine).
https://darg.gov.ua/

[14] უკრაინის აგრარული პოლიტიკისა და სურსათის სამინისტრო (Ministry of Agrarian Policy and Food of Ukraine).
https://minagro.gov.ua/en

[15] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).
https://www.fao.org/fishery/en/countrysector/ua/en

ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები

საბერძნეთი

საბერძნეთის **სოფლის განვითარებისა და სურსათის სამინისტრო** (MRDF)[16] პასუხისმგებელია საბერძნეთში აკვაკულტურაზე[17]. ის განსაზღვრავს აკვაკულტურის ეროვნულ სტრატეგიას, აწესებს კვოტებს და ევროკავშირის დაფინანსების პროგრამების მეშვეობით მართავს სექტორისთვის გამოყოფილ ეროვნულ და ევროკავშირის სახსრებს. ადგილობრივ დონეზე, პრეფექტურები გასცემენ ლიცენზიებს აკვაკულტურის საქმიანობებზე და გამოყოფენ სანაპირო და საზღვაო ტერიტორიებს კომპანიებისთვის სამოქმედოდ. რეგიონული ვეტერინარული სამსახურები პასუხისმგებელნი არიან ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ასპექტებზე და რეგულარულად ამოწმებენ ფერმერული მეურნეობების საოპერაციო პროცედურებსა და ჰიგიენურ პირობებს.

საბერძნეთის სოფლის განვითარებისა და სურსათის სამინისტროს **მდგრადი მეთევზეობის გენერალური დირექტორატი** (Directorate General for Sustainable Fisheries) პასუხისმგებელია ძირითადი კომერციული სახეობების თევზის მარაგების მეცნიერულ შეფასებაზე[18]. ის ასევე პასუხისმგებელია სექტორის ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზსა და მონაცემთა შეგროვებაზე. ამ მიზნით, მას მხარს უჭერს ორი ეროვნული კვლევითი ინსტიტუტი: საბერძნეთის მეთევზეობის კვლევითი ინსტიტუტი (FRI) და საბერძნეთის საზღვაო კვლევის ცენტრი (HCMR), რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მონაცემთა შეგროვების ეროვნული ჩარჩოს (DCF) პროგრამის განხორციელებაზე და დაკავშირებული მონაცემების შეგროვებაზე. თევზჭერის კონტროლის საქმიანობასა და პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით, მდგრადი მეთევზეობის გენერალურ დირექტორატს მხარს უჭერს ასევე „საბერძნეთის სანაპირო დაცვის“ (Hellenic Coast Guard) კომპეტენტური სამსახურები (მაგალითად, „მეთევზეობის კონტროლის დირექტორატი“[19]).

საბერძნეთის აკვაკულტურის სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს კვლევას, რომელიც ტარდება საბერძნეთის საზღვაო კვლევის ცენტრში (HCMR), ასევე, საბერძნეთის ტექნიკური განათლების ინსტიტუტის (TEI) მეთევზეობისა და აკვაკულტურის ტექნოლოგიების დეპარტამენტში. საბერძნეთში დღეს ფუნქციონირებს არაერთი საუნივერსიტეტო განყოფილება და ლაბორატორია, სადაც ტარდება ტრენინგები აკვაკულტურაში. გარდა ამისა, აკადემიურ დაწესებულებებში არის სამაგისტრო და სადოქტორო მიმართულებების პროგრამები აკვაკულტურასა და მონათესავე სფეროებში, საზღვაო და ვეტერინარულ მეცნიერებებში. საბერძნეთის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სურსათის სამინისტროსთვის აკვაკულტურის კვლევას ახორციელებს

---

[16] საბერძნეთის სოფლის განვითარებისა და სურსათის სამინისტრო (Ministry of Rural Development and Food).
https://www.minagric.gr/en/

[17] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).
https://www.fao.org/fishery/en/countrysector/gr/en?lang=en

[18] წყარო: ევროკომისიის ანგარიში ევროპული საზღვაო და მეთევზეობის ფონდის (EMFF) შესახებ.
https://oceans-and-fisheries.ec.europa.eu/system/files/2016-09/op-greece-fact-sheet_en.pdf

[19] წყარო: „საბერძნეთის სანაპირო დაცვა“ (Hellenic Coast Guard).
https://www.hcg.gr/en/structure/general-directorates/sector-a/fisheries-control-directorate/

მეთევზეობისა და აკვაკულტურის კვლევის ცენტრი კავალაში (Kavala), „სოფლის მეურნეობის კვლევის ეროვნული ფონდის“ (N.AG.RE.F.) ქოლგის ქვეშ.

საბერძნეთში საზღვაო თევზჭერის მეურნეობები გაერთიანებულნი არიანი ბერძენი მარიკულტურების ფედერაციაში (FGM). მცირე მწარმოებლები გაერთიანებულნი არიან მცირე და საშუალო თევზის მწარმოებელთა პანელიკურ კავშირში (PANEMI), ხოლო მიდიების მწარმოებელი კომპანიები - საბერძნეთის მიდიის ფერმერთა ასოციაციაში (SEMYO).

იტალია

იტალიაში მეთევზეობის პოლიტიკა ეფუძნება ოთხ დიდ საყრდენს: თევზჭერის რესურსების მართვა, სტრუქტურული პოლიტიკა, ბაზრების საერთო ორგანიზება და საერთაშორისო ხელშეკრულებები[20]. თევზჭერის პოლიტიკა ხორციელდება იტალიის **სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს მეთევზეობისა და აკვაკულტურის გენერალური დირექტორატისა**[21] და რეგიონული ადმინისტრაციების მეთევზეობის დირექტორატის მეშვეობით, რომლებსაც მხარს უჭერს დეცენტრალიზებული სამსახურები, მაგალითად „საზღვაო სანაპირო მცველი“ (Marine Coastal Guard). სამინისტრო პასუხისმგებელია მეთევზეობის პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაზე, ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემაზე, მონიტორინგისა და აღსრულების ღონისძიებებზე და მდგრადი თევზაობის პრაქტიკის ხელშეწყობაზე. მის ფარგლებში, მეთევზეობისა და აკვაკულტურის გენერალური დირექტორატი კოორდინაციას უწევს მეთევზეობასთან დაკავშირებულ აქტივობებსა და ინიციატივებს. იტალიაში სხვა სამინისტროებიც გარკვეულწილად ჩართულნი არიან და ზედამხედველობას უწევენ თევზჭერის მონიტორინგსა და კონტროლთან დაკავშირებულ საქმიანობებს. მაგალითად, ასეთია თავდაცვის სამინისტრო თავისი სანაპირო დაცვის სამსახურით და საზღვაო ფლოტით; შინაგან საქმეთა სამინისტრო სახელმწიფო პოლიციით; ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრო ეკონომიკურ საკითხებში პოლიტიკით; ჯანდაცვის სამინისტრო, რომელიც პასუხისმგებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ვეტერინარულ საკითხებზე.

მეთევზეობისა და აკვაკულტურის დარგში ძირითად კვლევებს იტალიაში ახორციელებენ საუნივერსიტეტო ლაბორატორიები; სხვა საჯარო ინსტიტუტები, მათ შორის, ეროვნული კვლევითი საბჭო (CNR – Consiglio Nazionale delle Ricerche), რომელსაც ეკუთვნის სანაპირო საზღვაო გარემოს ინსტიტუტი (IAMC)[22]; გარემოს დაცვისა და კვლევის ინსტიტუტი (ISPRA)[23]. ისინი აგროვებენ დარგობრივ მონაცემებს და ატარებენ გამოყენებითი კვლევებს. გამოყენებითი კვლევები ასევე ტარდება რიგი კერძო სუბიექტების მიერ. დარგის შესახებ ეკონომიკური

[20] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).
https://www.fao.org/fishery/en/facp/ITA

[21] იტალიის სოფლის მეურნეობის, სურსათისა და სატყეო მეურნეობის სამინისტროს მეთევზეობისა და აკვაკულტურის გენერალური დირექტორატი (Directorate-General for Maritime Fisheries and Aquaculture of the Ministry of Agriculture, Food and Forestry of Italy).
https://www.politicheagricole.it/flex/cm/pages/ServeBLOB.php/L/IT/IDPagina/20896

[22] იტალიის ეროვნული კვლევითი საბჭოს (CNR) სანაპირო საზღვაო გარემოს ინსტიტუტი (IAMC).
https://data.cnr.it/data/http:/www.cnr.it/ontology/cnr/individuo/istituto/CDS002

[23] იტალიის გარემოს დაცვისა და კვლევის ინსტიტუტი (Italian Institute for Environmental Protection and Research).
https://www.isprambiente.gov.it/en/istitute/index

მონაცემები და ფინანსური, საოპერაციო და მარკეტინგული ინფორმაცია გროვდება მეთევზეობისა და აკვაკულტურის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტის (IREPA)[24] მიერ. ევროკავშირის რეგულაციების საფუძველზე, 2002 წლიდან იტალიაში არსებობს ეროვნული პროგრამა თევზჭერის მონაცემების შეგროვებისთვის, რომელიც შეესაბამება მეთევზეობის საერთო პოლიტიკას (CFP).

საფრანგეთი

მეთევზეობის პოლიტიკის მართვა საფრანგეთში გაზიარებულია ევროკავშირის მეთევზეობის საერთო პოლიტიკის (CFP) ფარგლებში. საფრანგეთში მეთევზეობის მართვასა და რეგულირებას ახორციელებს **სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო**[25], რომელიც პასუხისმგებელია, მათ შორის, მეთევზეობისა და აკვაკულტურის მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის მომზადებასა და კოორდინაციაზე. სამინისტროს სხვადასხვა დირექტორატებს შორის არის **საზღვაო და აკვაკულტურული მეთევზეობის გენერალური დირექტორატი (DPMA)**, რომლის კომპეტენციაც ვრცელდება საზღვაო მეთევზეობის, საზღვაო და კონტინენტური აკვაკულტურისა და თევზის პროდუქტების სფეროებზე.

საფრანგეთში ცენტრალური ხელისუფლება პასუხისმგებელია მეთევზეობის დარგში შემდეგ ძირითად საკითხებზე[26]:

- თევზის ჭერისა და რესურსების კონსერვაციის ღირებულების გაუმჯობესება;
- მეთევზაობის ოპტიმალური მეთოდების შემუშავება;
- აკვაკულტურის განვითარება;
- რიფების დაცვა;
- თევზის მრეწველობის რეგულირება და ინსპექტირება;
- მეთევზეობაში კვლევების მხარდაჭერა;
- მეთევზეობის, თევზის მრეწველობის, მეთევზეობის ნავსადგურების განვითარების მხარდაჭერა;
- ლიცენზირების მოწესრიგება რეკრეაციული მეთევზეობისთვის;
- ევროპის საზღვაო მეთევზეობის ფონდის (EMFF) მართვა.

საფრანგეთში რეგიონული ხელისუფლების ორგანოები პასუხისმგებელი არიან EMFF-ის ფარგლებში პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაზე ცენტრალური მმართველი ორგანოს მეშვეობით. მუნიციპალურ დონეზე ადგილობრივ მეთევზეობის მხარდაჭერა ხდება ნებაყოფლობით საფუძველზე.

---

[24] მეთევზეობისა და აკვაკულტურის ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი (Istituto Ricerche Economiche per la Pesca e l'Acquacoltura /IREPA).
https://edirc.repec.org/data/irepait.html

[25] საფრანგეთის სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტრო (The French ministry of Agriculture and Food).
https://agriculture.gouv.fr/french-ministry-agriculture-and-food

[26] წყარო: რეგიონების ევროპული კომიტეტი (European Committee of the Regions).
https://portal.cor.europa.eu/divisionpowers/Pages/France-Fisheries-policy.aspx

ესპანეთი

ესპანეთის კონსტიტუცია ადგენს, რომ საზღვაო მეთევზეობის რეგულირება, ასევე, თევზჭერის სექტორის ორგანიზებისა და თევზჭერის პროდუქტების მარკეტინგის ძირითადი წესების დადგენა სახელმწიფოს ექსკლუზიური კომპეტენციაა[27]. ავტონომიურ თემებს აქვთ იურისდიქცია შიდა წყლებში განხორციელებულ მეთევზეობაზე, მოლუსკის შეგროვებასა და აკვაკულტურაზე, აგრეთვე, თევზჭერის სექტორის რეგულირებისა და თევზჭერის პროდუქტების მარკეტინგის გარკვეულ საკითხებზე.

ესპანეთში მეთევზეობის მართვას ცენტრალურ დონეზე ახორციელებს **სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სურსათის სამინისტრო**[28], რომელიც კოორდინაციას უწევს რეგიონალურ ხელისუფლებას და დაინტერესებულ მხარეებს ესპანეთის თევზის რესურსების მდგრად მართვაში. სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სურსათის სამინისტროს ფარგლებში **მეთევზეობის გენერალური სამდივნო**[29] არის სპეციალური დეპარტამენტი, რომელიც პასუხისმგებელია მეთევზეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზედამხედველობაზე. ის ავითარებს პოლიტიკას და რეგულაციას, მართავს თევზჭერის რესურსებს და წარმოადგენს ესპანეთს საერთაშორისო მეთევზეობის მოლაპარაკებებსა და ორგანიზაციებში. სამდივნოში, თავის მხრივ, ფუნქციონირებს **ორი დირექტორატი: 1. მდგრადი მეთევზეობის გენერალური დირექტორატი; 2. მეთევზეობისა და აკვაკულტურის მართვის გენერალური დირექტორატი.** დამატებით, სამინისტრო ახორციელებს მეთევზეობის მიმართულებით კონტროლსა და ინსპექციას[30]. ამ მიმართულებაში სამინისტროს ფუნქციები მოიცავს მეთევზეობის ლიცენზირებისა და ნებართვების საკითხებს, მეთევზეობისა და თევზჭერის ფლოტის (გემებისა და თევზსაჭერის საშუალებების) კონტროლს, მეთევზობის საქმიანობასთან დაკავშირებით საჭირო ინფორმაციის მოგროვებას, ინსპექტირებას და ზედამხედველობის აქტივობებს პორტებში, ზღვაზე და სანაპირო ზოლის გასწვრივ, რათა თავიდან აიცილოს უკანონო (IUU) მეთევზეობა.

ბალტიის ზღვის ქვეყნები

ლიეტუვა

ლიეტუვის 2000 წლის კანონი თევზჭერის შესახებ არეგულირებს მეთევზეობის, აკვაკულტურისა და თევზის გადამუშავებისა და მარკეტინგის სხვადასხვა სახის

---

[27] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).
https://www.fao.org/fishery/en/facp/esp?lang=es

[28] ესპანეთის სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სურსათის სამინისტრო (Ministry of Agriculture, Fisheries and Food of Spain).
https://www.mapa.gob.es/en/ministerio/funciones-estructura/organigrama/Ministro-MAPA.aspx

[29] ესპანეთის მეთევზეობის გენერალური სამდივნო (Spanish General Secretariat of Fisheries / SGPESCA).
https://www.mapa.gob.es/es/ministerio/funciones-estructura/organigrama/SG_Pesca.aspx

[30] მეთევზეობის კონტროლი და ინსპექტირება ესპანეთის სოფლის მეურნეობის, მეთევზეობისა და სურსათის სამინისტროში (Control and inspection of fisheries in the Ministry of Agriculture, Fisheries and Food of Spain).
https://www.mapa.gob.es/en/pesca/temas/vigilancia-pesquera/

საქმიანობებს[31]. ლიეტუვაში მეთევზეობის მართვის კუთხით ცენტრალური ხელისუფლება პასუხისმგებელია შემდეგზე[32]:

- სახელმწიფო საკუთრებაში არსებული თევზჭერის სექტორის მართვა;
- მეთევზეობის უფლების მინიჭების პროცედურების განსაზღვრა;
- ლიეტუვის შიდა მეთევზეობაში თევზჭერის კვოტების დაწესება და განაწილება;
- სათევზაო გემების რეგისტრაცია.

ცენტრალურ დონეზე დარგის მართვას ლიეტუვაში ახორციელებს **სოფლის მეურნეობის სამინისტრო**[33]. სამინისტროში არსებული **მეთევზეობის დეპარტამენტი** პასუხისმგებელია მეთევზეობის პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაზე. ლიეტუვაში თევზის რესურსების დაცვისა და კონტროლის ფუნქციას ახორციელებს **გარემოს დაცვის სამინისტრო**[34], ხოლო **მეთევზეობის საბჭო** (The Fisheries Board) შეიქმნა, როგორც საკონსულტაციო ორგანო მეთევზეობის პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებაში[35]. ადგილობრივ დონეზე მერები ან მერის მოადგილეები გასცემენ ნებართვებს წყლის ობიექტებში მეთევზეობისთვის განკუთვნილი ტერიტორიების გამოყენებისათვის, ამტკიცებენ ღონისძიებების გეგმებს, რომლებიც მიმართულია მეთევზეობისთვის განკუთვნილ წყლის ობიექტებში თევზის მარაგის გამოყენებაზე, აღდგენასა და დაცვაზე.

ლიეტუვაში არსებული სამეცნიერო და კვლევითი ცენტრებიდან, რომლებიც მუშაობენ მეთევზეობის მიმართულებით, აღსანიშნავია ვილნიუსის უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტი (The Institute of Ecology of Vilnius University) (სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული კვლევითი ინსტიტუტი) და კლაიპედას უნივერსიტეტის საზღვაო კვლევითი ინსტიტუტი (The Marine Research Institute of Klaipeda University), რომელიც ახორციელებს კვლევებს მეთევზეობის რესურსების მართვის სფეროში, მათ შორის შიდა თევზჭერისთვის.

ლატვია

ლატვიაში ცენტრალური ხელისუფლების დონეზე **სოფლის მეურნეობის სამინისტრო**[36] არის პასუხისმგებელი (ა) საერთო კანონმდებლობაზე, როგორც საზღვაო, ისე შიდა წყლებზე (ევროპის <u>საერთო მეთევზეობის პოლიტიკის (CFP)</u> პრინციპებისა და წესების და

[31] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).
https://www.fao.org/fishery/en/facp/ltu?lang=en
[32] წყარო: რეგიონების ევროპული კომიტეტი (European Committee of the Regions).
https://portal.cor.europa.eu/divisionpowers/Pages/Lithuania-Fisheries-policy.aspx
[33] ლიეტუვას რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო (The Ministry of Agriculture of the Republic of Lithuania).
https://zum.lrv.lt/en/
[34] ლიეტუვას რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამინისტრო (The Ministry of Environment of the Republic of Lithuania).
https://am.lrv.lt/en/
[35] წყარო: რეგიონების ევროპული კომიტეტი (European Committee of the Regions).
https://portal.cor.europa.eu/divisionpowers/Pages/Lithuania-Fisheries-policy.aspx
[36] ლატვიის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო (Ministry of Agriculture of the Republic of Latvia).
https://www.zm.gov.lv/en

საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად); (ბ) თევზის რესურსების მართვაზე[37]. სამინისტრომ შეიძლება გადასცეს თევზჭერის უფლება მუნიციპალიტეტებს. ადგილობრივი მუნიციპალიტეტები პასუხისმგებელნი არიან, უზრუნველყონ: (ა) მეთევზეობის უფლებებით სარგებლობის მართვა; (ბ) საზოგადოებრივ წყლებზე წვდომის უზრუნველყოფა.

ლატვიის **თევზის რესურსების სააგენტო** (Latvian Fish Resources Agency)[38], რომელიც გადაიქცა **სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და გარემოს ინსტიტუტად** (Institute of Food Safety, Animal Health and Environment)[39], პასუხისმგებელია თევზის მარაგების მონიტორინგზე, მეთევზეობის საქმიანობის შესახებ მონაცემების შეგროვებაზე და მეთევზეობის მდგრადი მართვის მხარდასაჭერად კვლევების ჩატარებაზე. ის ასევე გასცემს თევზჭერის ნებართვებს და არეგულირებს კომერციულ და რეკრეაციულ თევზაობას.

ესტონეთი

ესტონეთში ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობები მეთევზეობის მიმართულებით მოიცავს შემდეგს[40]:

- მეთევზეობის ეროვნული პოლიტიკის შემუშავება;
- ევროპის საზღვაო და მეთევზეობის ფონდის (EMFF) ოპერატიული პროგრამის მართვა;
- ინტეგრირებული საზღვაო პოლიტიკისა და ევროპის <u>მეთევზეობის საერთო პოლიტიკის (CFP)</u> განხორციელება;
- თევზის რესურსების კვლევის, შეფასების, ექსპლუატაციის, რეპროდუქციისა და დაცვის მართვა და კოორდინაცია;
- სპეციალიზებული გარემოსდაცვითი პროგრამის მეთევზეობის ქვე-პროგრამის შემუშავება და მისთვის გამოყოფილი თანხების ზუსტი და მდგრადი გამოყენების უზრუნველყოფა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები პასუხისმგებელნი არიან, ხელი შეუწყონ ადგილობრივი მწარმოებლებს, რომ მათ მიიღონ დაფინანსება EMFF-დან ეროვნული მმართველი ორგანოს მეშვეობით.

მეთევზეობისა და აკვაკულტურის სახელმწიფო ადმინისტრირება ესტონეთში დაყოფილია ორ სახელმწიფო უწყებას შორის[41]: **სოფლის მეურნეობის სამინისტრო**[42] და **გარემოს დაცვის**

---

[37] წყარო: რეგიონების ევროპული კომიტეტი (European Committee of the Regions).
https://portal.cor.europa.eu/divisionpowers/Pages/Latvia-Fisheries.aspx

[38] წყარო: საზღვაო ორგანიზაციების ევროპული დირექტორატი (European Directory of Marine Organisations / EDMO).
https://edmo.seadatanet.org/report/699

[39] წყარო: საზღვაო ორგანიზაციების ევროპული დირექტორატი (European Directory of Marine Organisations / EDMO).
https://edmo.seadatanet.org/report/3140

[40] წყარო: რეგიონების ევროპული კომიტეტი (European Committee of the Regions).
https://portal.cor.europa.eu/divisionpowers/Pages/Estonia-Fisheries-policy.aspx

[41] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).
https://www.fao.org/fishery/en/countrysector/ee/en

[42] ესტონეთის რესპუბლიკის რეგიონული საკითხებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (Ministry of Regional Affairs and Agriculture of Estonia).
https://www.agri.ee/en

სამინისტრო[43]. მეთევზეობის მიმართულებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციებია ბაზრის ორგანიზების სისტემის განვითარება, სტრუქტურული მხარდაჭერისა და სახელმწიფო დახმარების მინიჭება, აკვაკულტურის სექტორის მართვა, კომერციული მეთევზეობა (მათ შორის, კომერციული მეთევზეობის ნებართვების გაცემა, სათევზაო გემების ეროვნული რეესტრის მართვა, თევზის ჭერების აღრიცხვა). რაც შეეხება გარემოს დაცვის სამინისტროს, იგი ამზადებს და ახორციელებს თევზჭერის რესურსების დაცვისა და გამოყენების პოლიტიკას, მათ შორის, თევზის მარაგების რეპროდუქციისა და ქვირითობის ადგილებისა და ჰაბიტატების დაცვისა და აღდგენის შესახებ, ასევე, გასცემს სამეცნიერო კვლევებისა და სპეციალური დანიშნულების მეთევზეობის ნებართვებს. თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მეთევზეობის სახელმწიფო მართვაში ასევე ჩართულია დამოუკიდებელი უწყებები, როგორებიცაა **გარემოსდაცვითი საბჭო** (Environmental Board), **ვეტერინარული და სურსათის საბჭო** (Veterinary and Food Board) და **გარემოსდაცვითი ინსპექტორატი** (Environmental Inspectorate).

აღსანიშნავია ესტონეთში არსებული **მეთევზეობის საინფორმაციო ცენტრი** (FIC)[44], რომელიც აგროვებს და ავრცელებს ინფორმაციას თევზის მარაგების, მეთევზეობის საქმიანობისა და აკვაკულტურის პრაქტიკის შესახებ. ის ატარებს კვლევას, მონიტორინგს და მონაცემთა ანალიზს, რათა მხარი დაუჭიროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას თევზჭერის მართვაში.

პოლონეთი

პოლონეთში რამდენიმე სამთავრობო უწყება და ორგანიზაცია პასუხისმგებელია მეთევზეობისა და აკვაკულტურის მართვასა და რეგულირებაზე, მათ შორის, **საზღვაო ეკონომიკისა და შიდა ნავიგაციის სამინისტრო**[45]. სამინისტროში არის **მეთევზეობის დეპარტამენტი**, რომლის პასუხისმგებლობებსაც მიეკუთვნება შემდეგი[46]:

- მეთევზეობის პოლიტიკის განხორციელება ევროპის <u>მეთევზეობის საერთო პოლიტიკის (CFP)</u> შესაბამისად;
- საზღვაო მეთევზეობის, შიდა წყლების მეთევზეობის, აკვაკულტურისა და თევზის ბაზრის განვითარების სახელმძღვანელო მითითებებისა და პროგრამების შემუშავება;
- ბიოლოგიური რესურსების, საზღვაო და შიდა წყლების მართვის, დაცვისა და ექსპლუატაციის ზედამხედველობა;
- მეთევზეობის კვოტებისა და მეთევზეობის მარეგულირებელი პირობების დაწესება;
- მეთევზეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება;
- თევზსაჭერი გემების რეესტრის წარმოება;
- თევზჭერის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემა;

---

[43] ესტონეთის რესპუბლიკის კლიმატის სამინისტრო (Ministry of Climate of the Republic of Estonia). https://kliimaministeerium.ee/en

[44] ესტონეთის მეთევზეობის საინფორმაციო ცენტრი (Fisheries Information Centre / FIC). https://www.kalateave.ee/en/

[45] პოლონეთის საზღვაო ეკონომიკისა და შიდა ნავიგაციის სამინისტრო (Ministry of Maritime Economy and Inland Navigation of Poland). https://www.marinepoland.com/ministry-of-maritime-economy-and-inland-navigation-c2245

[46] წყარო: რეგიონების ევროპული კომიტეტი (European Committee of the Regions). https://portal.cor.europa.eu/divisionpowers/Pages/Poland-Fisheries.aspx

- საზღვაო საინფორმაციო სისტემის და ანგარიშგების სისტემის მართვა;
- მეთევზეობისა და თევზის მეურნეობის განვითარებისათვის ფინანსური სახსრების მოზიდვაში თანამშრომლობა;
- ზედამხედველობას უწევს „სოფლის მეურნეობის რესტრუქტურიზაციისა და მოდერნიზაციის სააგენტოს“ (Agency for Restructuring and Modernisation of Agriculture), რეგიონალური საზღვაო მეთევზეობის ინსპექტორატებს, „საზღვაო მეთევზეობის ეროვნული კვლევის ინსტიტუტს“ (Morski Instytut Rybacki) და „სტანისლავ საკოვიჩის შიდა თევზჭერის ინსტიტუტს“ (Instytut Rybactwa Śródlądowego im. Stanisława Sakowicza).

რეგიონალური საზღვაო ოფისები მოქმედებენ პოლონეთის სხვადასხვა რეგიონში და პასუხისმგებელნი არიან სანაპირო წყლებში მეთევზეობის საქმიანობის რეგულირებაზე და მეთევზეობის შესახებ კანონებისა და რეგულაციების აღსრულებაზე. ისინი ასევე აკონტროლებენ საზღვაო უსაფრთხოებას და ნავიგაციას მათ შესაბამის რეგიონებში. სამი **რეგიონალური მეთევზეობის ინსპექტორატი** (Szczecin, Słupsk და Gdynia) პასუხისმგებელია მეთევზეობის მართვასა და მონიტორინგზე მათ ტერიტორიებზე. დამატებით „გდინიას მეთევზეობის მონიტორინგის ცენტრი“ (Gdynia Fisheries Monitoring Centre) პასუხისმგებელია გემების მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირებაზე და თევზჭერის ანგარიშგების სისტემაზე. „ვოევოდის მარშალის ოფისი“ (Office of the Marshal of the Voivodship) მართავს შიდა თევზჭერისა და მეთევზეობის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სკანდინავიის ქვეყნები

დანია

ევროპის <u>მეთევზეობის საერთო პოლიტიკა (CFP)</u> არის დანიის მეთევზეობის ყველა რეგულაციის საფუძველი. თუმცა, არსებობს რამდენიმე ეროვნული რეგულაციაც, რათა მოერგოს თევზჭერის ადგილობრივ პირობებს, ასევე რესურსების ექსპლუატაციის ეროვნულ პოლიტიკას[47]. ევროკავშირის და ეროვნული კონსერვაციის პოლიტიკის მონიტორინგისა და აღსრულების პასუხისმგებელი ორგანოა **დანიის მეთევზეობის სააგენტო**[48], რომელიც არის **სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეთევზეობის სამინისტროს**[49] ნაწილი.

დანიის ცენტრალური ხელისუფლება პასუხისმგებელია მეთევზეობის დარგის მართვაზე შემდეგი ძირითადი მიმართულებებით[50]:

- თევზჭერის ღირებულების გაუმჯობესება და რესურსების შენარჩუნება;
- თევზჭერის ოპტიმალური მეთოდების შემუშავება;

---

[47] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).
https://www.fao.org/fishery/en/facp/dnk?lang=en

[48] დანიის მეთევზეობის სააგენტო (Danish Fisheries Agency).
https://fiskeristyrelsen.dk/english

[49] დანიის სურსათის, სოფლის მეურნეობის და მეთევზეობის სამინისტრო (Ministry of Food, Agriculture and Fisheries of Denmark).
https://en.fvm.dk/the-ministry

[50] წყარო: რეგიონების ევროპული კომიტეტი (European Committee of the Regions).
https://portal.cor.europa.eu/divisionpowers/Pages/Denmark-Fisheries-policy.aspx

- აკვაკულტურის განვითარება;
- თევზჭერის მრეწველობის რეგულირება და ინსპექტირება;
- მეთევზეობაში კვლევის მხარდაჭერა;
- მეთევზეობის, თევზის მრეწველობის, მეთევზეობის ნავსადგურების განვითარების მხარდაჭერა;
- რეკრეაციული მეთევზეობისთვის ლიცენზირების საკითხების მოწესრიგება;
- ევროპის საზღვაო მეთევზეობის ფონდის (EMFF) მართვა.

დანიაში მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მხარი დაუჭირონ ადგილობრივ მეთევზეობას და თევზის მრეწველობის პროფესიონალების ადგილობრივ ქსელებს ნებაყოფლობით საფუძველზე. გარდა ამისა, მათ შეუძლიათ შეიმუშაონ და განახორციელონ პროგრამები EMFF-ის ფარგლებში ეროვნული მმართველი ორგანოს მეშვეობით.

დანიის მეთევზეობის სააგენტო მხარს უჭერს ზრდას მეთევზეობის სექტორში "მწვანე გადასვლის" ("green transition") გზით, ევროპული მეთევზეობის ფონდიდან (EFF) მდგრადი მეთევზეობისა და აკვაკულტურის განვითარებისთვის სახსრების გამოყოფით. ამავდროულად, სააგენტო ახორციელებს ინსპექტირებას იმის უზრუნველსაყოფად, რომ დანიის წყლებში თევზის მარაგი იყოს მდგრადი და მეთევზეობა არ განხორციელდეს დაცულ ტერიტორიებზე, სადაც ბუნების მდგომარეობა ან თევზის მარაგი სპეციალურ დაცვას საჭიროებს.

2007 წელს განხორციელდა დანიის კვლევითი სექტორის რესტრუქტურიზაცია. შედეგად, თევზის ბიოლოგიის კვლევის უმეტესი ნაწილი ახლა დანიის ტექნიკური უნივერსიტეტის (DTU) ნაწილია[51]. ადრე მას ახორციელებდა სურსათის, სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის სამინისტრო. რესტრუქტურიზაციამ გამოიწვია "დანიის მეთევზეობის კვლევის ინსტიტუტისა" (DIFRES) და DTU-ს შერწყმა და გახდა **"დანიის წყლის რესურსების ეროვნული ინსტიტუტი - DTU Aqua"**[52]. კვლევის, მონიტორინგისა და მონაცემთა შეგროვების ფარგლებში სხვადასხვა ეროვნულ და საერთაშორისო ვალდებულებებს ახორციელებს DTU Aqua სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე. DTU Aqua მუშაობს მეთევზეობისა და აკვაკულტურის, ჯანმრთელობისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიების კვლევის მიმართულებით.

ფინეთი

ფინეთში მეთევზეობისა და აკვაკულტურის სახელმწიფო მართვას ახორციელებს **სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო**[53], რომელიც თავის საქმიანობაში ეყრდნობა ფინეთის მეთევზეობის შესახებ კანონს (2015)[54]. კანონის მიზანია, მეთევზეობის უფლებებისა

[51] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO).
https://www.fao.org/fishery/fr/facp/dnk

[52] "DTU Aqua - დანიის წყლის რესურსების ეროვნული ინსტიტუტი" (DTU Aqua - National Institute of Aquatic Resources of Denmark).
https://www.aqua.dtu.dk/english/

[53] ფინეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო (Ministry of Agriculture and Forestry of Finland).
https://mmm.fi/en/ministry

[54] ფინეთის მეთევზეობის შესახებ კანონი (Finnish Fishing Act) (2015).
https://www.finlex.fi/en/laki/kaannokset/2015/en20150379.pdf

და მეთოდების, თევზის მარაგის მართვისა და მეთევზეობის ადმინისტრაციის რეგულირება თევზის რესურსების გამოყენებისა და მართვის თვალსაზრისით. დამატებით, მეთევზეობის მარეგულირებელი აქტები განსაზღვრავს უფრო დეტალურ დებულებებს, მაგალითად, სათევზაო ხელსაწყოებისა და მეთევზეობის პრაქტიკის, სათევზაო ადგილების, სახელმწიფოს სათევზაო წყლებისა და მეთევზეობის კონტროლის შესახებ. კომერციული მეთევზეობის მარეგულირებელი დებულებების უმრავლესობა, განსაკუთრებით საზღვაო ზონებში, ასახულია ევროკავშირის დონეზე. ზღვაზე კომერციული მეთევზეობის რეგულირება ევროკავშირის ექსკლუზიური კომპეტენციაა და ეროვნული დებულებები შეიძლება გამოიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ევროკავშირის კანონმდებლობა აძლევს წევრ სახელმწიფოებს ამის უფლებას[55].

დამატებით, ფინეთში არსებობს **ეკონომიკური განვითარების, ტრანსპორტისა და გარემოსდაცვითი ცენტრები** (The ELY Centres) სხვადასხვა სამინისტროს მმართველოს ქვეშ[56]. უშუალოდ თევზჭერის მიმართულებით ქვეყანაში ფუნქციონირებს 11 ასეთი ცენტრი[57], რომელთა ამოცანებს შორისაც არის შემდეგი:

- სათევზაო რეგიონებში საქმიანობის მართვა და ზედამხედველობა;
- გადაწყვეტილებების მიღება ნებართვებისა და აკრძალვების შესახებ მეთევზეობის კანონის შესაბამისად;
- რეკრეაციული მეთევზეობისა და სათევზაო ტურიზმის განვითარება;
- მეთევზეობის მრეწველობის დაფინანსება;
- პროფესიული მეთევზეობის ხელშეწყობა და თევზჭერის მონიტორინგი საზღვაო რაიონებში;
- სხვა საზედამხედველო ფუნქციები, რომლებიც გათვალისწინებულია მეთევზეობის შესახებ კანონსა და ევროკავშირის მეთევზეობის საერთო პოლიტიკაში (CFP).

კომერციულ მეთევზაობას ზღვაზე აკონტროლებს სამხრეთ-დასავლეთ ფინეთის ეკონომიკური განვითარების, ტრანსპორტისა და გარემოს ცენტრი (ELY ცენტრი), ალანდის რეგიონული ხელისუფლება (Provincial Government of Åland) და ფინეთის სასაზღვრო დაცვა (Finnish Border Guard). ფინეთის სასაზღვრო დაცვა მართავს მეთევზეობის მონიტორინგის ცენტრს. საკონტროლო ღონისძიებები და ინსპექტირება ეხება მეთევზეთა გემებს და მათ თევზაობას ზღვაზე, დაჭერას და თევზის პირველი მყიდველების (first-hand buyers of fish) საქმიანობას. თევზჭერისა და აკვაკულტურის პროდუქტების მიკვლევადობა და მომხმარებელთა ინფორმირება პროდუქტებთან დაკავშირებით კონტროლდება ფინეთის სურსათის უვნებლობის ორგანოს და მუნიციპალური კვების ორგანოების მიერ[58].

---

[55] წყარო: ფინეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო (Ministry of Agriculture and Forestry of Finland).
https://mmm.fi/en/fisheries/key-legislation

[56] ფინეთის ეკონომიკური განვითარების, ტრანსპორტისა და გარემოსდაცვით ცენტრები (Centres for Economic Development, Transport and the Environment).
https://www.ely-keskus.fi/en/web/ely-en/organisation

[57] წყარო: ფინეთის ეკონომიკური განვითარების, ტრანსპორტისა და გარემოსდაცვით ცენტრი (Centre for Economic Development, Transport and the Environment).
https://www.ely-keskus.fi/en/web/ely-en/business-and-industry

[58] წყარო: ფინეთის სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის სამინისტრო (Ministry of Agriculture and Forestry of Finland).

შვედეთი

შვედეთში მეთევზეობისა და აკვაკულტურის მართვასა და რეგულირებას ახორციელებს **საზღვაო და წყლის მართვის სააგენტო (SwAM)**[59], რომელიც, სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ინაწილებს პასუხისმგებლობებს შემდეგ მიმართულებებში[60]:

- გარემოსდაცვითი მონიტორინგი და კვლევა.
- ბიომრავალფეროვნებისა და უცხო ინვაზიური სახეობების ზედამხედველობა.
- რეგიონული და საერთაშორისო კონვენციებისა და შეთანხმებების შესრულება.
- კომერციული მეთევზეობის რეგულირება და კონტროლი.
- მუნიციპალიტეტებისთვის წყალთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხში საზედამხედველო ხელმძღვანელობის გაწევა.
- საზღვაო სივრცითი დაგეგმარების შემუშავება.

შვედეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებების უნივერსიტეტში არსებობს **წყლის რესურსების დეპარტამენტი** (SLU Aqua), რომელიც სამი მიმართულებით ახორციელებს კვლევას: საზღვაო კვლევა, სანაპირო კვლევა და მტკნარი წყლის კვლევა[61]. აღნიშნულ ორგანიზაციაში განხორციელებული კვლევები ეხმარება ხელისუფლებას, მიიღონ მეცნიერულად დაფუძნებული გადაწყვეტილებები წყლისა და წყლის რესურსების მდგრადი მართვისთვის და ხელი შეუწყოს იმის გაგებას, თუ როგორ მოქმედებს კლიმატის ცვლილება, გარემო და ადამიანები წყლის ეკოსისტემებზე.

ნორვეგია

ნორვეგიაში მეთევზეობის მართვას ახორციელებს **ვაჭრობის, მრეწველობისა და მეთევზეობის სამინისტრო**[62]. სამინისტრო ადგენს ზოგად პოლიტიკის ჩარჩოს და მიზნებს მეთევზეობის სექტორისთვის. იგი ავითარებს თევზჭერის ეროვნულ სტრატეგიებს, ადგენს კვოტებს თევზის მარაგებისთვის და ზედამხედველობს საზღვაო რესურსების მდგრად მართვას. სამინისტრო მჭიდროდ თანამშრომლობს სხვა სამთავრობო უწყებებთან, კვლევით ინსტიტუტებსა და დაინტერესებულ მხარეებთან, რათა უზრუნველყოს ნორვეგიის მეთევზეობის სექტორის გრძელვადიანი სიცოცხლისუნარიანობა და ხელი შეუწყოს ეკონომიკურ ზრდას და დასაქმებას სანაპირო ტერიტორიებზე მცხოვრებ თემებში.

---

https://mmm.fi/en/fisheries/fisheries-industry

[59] შვედეთის საზღვაო და წყლის მართვის სააგენტო (Swedish Agency for Marine and Water Management / SwAM).
https://www.havochvatten.se/en/start.html

[60] წყარო: შვედეთის საზღვაო და წყლის მართვის სააგენტო (Swedish Agency for Marine and Water Management / SwAM).
https://www.havochvatten.se/en/our-organization/about-swam/areas-of-responsibility.html

[61] წყარო: შვედეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებების უნივერსიტეტი (Swedish University of Agricultural Sciences).
https://www.slu.se/en/departments/aquatic-resources1/contact/

[62] ნორვეგიის ვაჭრობის, მრეწველობისა და მეთევზეობის სამინისტრო (Ministry of Trade, Industry and Fisheries of Norway).
https://www.regjeringen.no/en/dep/nfd/id709/

ნორვეგიის **მეთევზეობის დირექტორატი**[63] წარმოადგენს ვაჭრობის, მრეწველობისა და მეთევზეობის სამინისტროს საკონსულტაციო და აღმასრულებელ ორგანოს მეთევზეობისა და აკვაკულტურის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში. დირექტორატის მთავარი მიზანია მომგებიანი ეკონომიკური საქმიანობის ხელშეწყობა საზღვაო რესურსებისა და საზღვაო გარემოს მდგრადი და მომხმარებელზე ორიენტირებული მართვის გზით. მეთევზეობის დირექტორატი ურჩევს სამინისტროს, თუ როგორ უნდა იმართოს მეთევზეობისა და აკვაკულტურის მეურნეობა და დარწმუნდეს, რომ დაცულია შესაბამისი კანონები და რეგულაციები.

ნორვეგიელი მეთევზეობისა და აკვაკულტურის ყველაზე მნიშვნელოვან **კვლევით ინსტიტუტებს** შორის არის "ნორვეგიის მეთევზეობის მეცნიერების კოლეჯი" ტრომსოს უნივერსიტეტში; ბერგენის უნივერსიტეტის მეთევზეობისა და საზღვაო ბიოლოგიის დეპარტამენტი; "მეთევზეობის ეკონომიკის ცენტრი" ნორვეგიის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების სკოლაში, რომელიც სპეციალიზებულია ბიოეკონომიკურ მოდელირებაში, ეკონომიკასა და ბაზრის კვლევაში; "ნორვეგიის მეთევზეობისა და აკვაკულტურის ინსტიტუტი" ტრომსოში, რომელიც წარმოადგენს საკონტრაქტო კვლევით ინსტიტუტს ნორვეგიის მეთევზეობისა და აკვაკულტურის ინდუსტრიისთვის; "ნორვეგიის საზღვაო ტექნოლოგიების კვლევის ინსტიტუტი" (MARINTEK) ტრონდჰეიმში, რომელიც ახორციელებს საზღვაო ტექნოლოგიების კვლევისა და განვითარების მომსახურებებს ეროვნული და საერთაშორისო კომპანიებისა და ორგანიზაციებისთვის[64].

[63] ნორვეგიის მეთევზეობის დირექტორატი (Directorate of Fisheries of Norway). https://www.fiskeridir.no/English

[64] წყარო: გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO). https://www.fao.org/fishery/en/facp/nor?lang=en